გაეროს დამკვირვებელთა მისიის <u>მანდატი</u>, **მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს 937-ე რეზოლუციით**

1994 წლის 21 ივლისი.

გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი, რომელიც ეფუძნება რეკომენდაციებს გენერალური მდივნის მოხსენებიდან, უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

ა) ჩატარდეს მონიტორინგი და გადამოწმება მხარეების მხრიდან ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეების დაშორიშორების შესახებ 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების შესრულების თაობაზე;

ბ) დააკვირდეს დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ ჩატარებულ ოპერაციას ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში;

გ) დაკვირვებისა და პატრულირების მეშვეობით, გადაამოწმოს, რომ ყველა მხარის ძალები არ რჩებიან და არ შემოდიან ხელახლა უსაფრთხოების ზონაშიდა რომ მძიმე სამხედრო ტექნიკა არ არის დატოვებული ანდ ხელახლა შეტანილი უსაფრთხოებისა ან შეზღუდული შეაიარაღების ზონაში;

დ) მოახდინონ მონიტორინგი სასაწყობო ტერიტორიისა, რომელიც გამოყოფილია უსაფრთხოების ზონიდან და შეზღუდული შეიარაღების ზონიდან გამოყვანილი სამხედრო ტექნიკისათვის, სადაც შესაძლებელია, დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობით;

ე) მოახდინონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კოდორის ხეობიდან აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკა, საზღვრებს გარეთ გამოყვანის მონიტორინგი;

ვ) მოახდინონ კოდორის ხეობის რეგულარულად პატრულირება;

ზ) გამოიძიონ, ნებისმიერი ძალის მოთხოვნით ან დსთ-ს სამშვიდობო

ძალებისა და საკუთარი ინიციატივით, ხელშეკრულების დაფიქსირებული ანდ შეტყობინებული დარღვევის და შეესადოს გადაწყვიტოს ანდ დაეხმაროს ამგვარი ინციდენტების გადაწყვეტას;

თ) მოახსენოს რეგულარულად გენერალურ მდივანს თავისი მანდატის ფარგლებში, კონკრეტულად ხელსეკრულების შესრულების, ნებისმიერი დარღვევისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მიერ ჩატარებული გამოძიებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

ი) შეინარჩუნოს მჭიდრო კონტაქტები კონფლიქტის ორივე მხარესთან და იტანამშრომლონ დსთ-ს სამშვიდობო ზალებთან და თავისი ყოფნით ამ ტერიტორიაზე, გახადონ ტერიტორია მისაღები ლტოლვილებისა და გადაადგილებული პირების დასაბურნებლად.

<u>(გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა, # 131, 1994 წლის 26 ივლისი)</u>